



ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტური კონფერენცია 2025

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სწავლის სტრატეგიებში და მისი ზეგავლენა სტუდენტთა სწავლის ეფექტურობაზე

აბსტრაქტი

ტექნოლოგიური განვითარების შედეგად, სტუდენტები სულ უფრო მეტად იყენებენ სხვადასხვა ტექნოლოგიურ რესურსებს სწავლის პროცესის გაუმჯობესების მიზნით (Čančer, Tominc & Rožman, 2025). ერთ-ერთი მათგანია ხელოვნური ინტელექტი (AI), რომელსაც სტუდენტები აქტიურად იყენებენ დამოუკიდებლად სწავლის დროს. ხელოვნურ ინტელექტს აქვს უნარი — უზრუნველყოს დროული უკუკავშირი, დაამუშაოს დიდი მოცულობის ინფორმაცია და მოერგოს ინდივიდის საჭიროებებსა და უნარებს — რაც მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს სტუდენტებს სასწავლო მასალის უკეთ გააზრებასა და კონცეფციების ეფექტიანად ათვისებაში (Kumar et al., 2023).

კვლევა მიზნია მიმოიხილოს არსებული ლიტერატურა, რომელიც ეხება სტუდენტების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასა და მის ეფექტურობას. ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით სტუდენტებს შეუძლიათ უფრო მოკლე დროში აითვისონ მასალა და მათზე მორგებული სასწავლო მიდგომები გამოიყენონ. თუმცა მკვლევრები ასევე ყურადღებას ამახვილებენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უარყოფით ასპექტებზე, როგორცაა AI-ზე დამოკიდებულება, კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის დაქვეითების რისკი (Zhai, Wibowo & Li, 2024).

კვლევები ცხადყოფენ, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კომპლექსური საკითხია, ვინაიდან იგი ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას სტუდენტების სწავლის პროცესსა და შედეგებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის დაგეგმვისას განათლების სპეციალისტებმა საფუძვლიანად გაანალიზონ როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები, რათა სტუდენტებმა შეძლონ ციფრული ინსტრუმენტის ეფექტურად და სტრატეგიულად გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: სწავლის სტრატეგიები, სტუდენტები, ხელოვნური ინტელექტი (AI)

გენდერული სტერეოტიპები, დისკრიმინაცია და შრომითი თვითეფექტურობა

აბსტრაქტი

ამ კვლევის მიზანია შეისწავლოს სტერეოტიპებს, დისკრიმინაციასა და შრომით თვითეფექტურობას შორის კავშირი. გენდერული სტერეოტიპები გულისხმობს განზოგადებულ წარმოდგენებს კონკრეტული გენდერის მიმართ, გენდერული დისკრიმინაცია კი - ამის შედეგად ადამიანის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. საქსტატის მონაცემები (2024) ადასტურებს, რომ საქართველოში კაცებს უფრო მაღალი ხელფასები აქვთ და არსებობს გენდერული განსხვავებები დაკავებულ პოზიციებში. თვითეფექტურობა (Bandura, 1977) გულისხმობს ადამიანის რწმენას, რომ მას აქვს უნარი მართოს საკუთარ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები. გენდერული დისკრიმინაციის შეგრძნებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის თვითეფექტურობაზეც (Baharun & Tohet, 2024).

არსებული სიტუაციის ანალიზი აჩვენს მოსაზრებას, რომ საქართველოში სამუშაო გარემოში შეიძლება იყოს გენდერული დისკრიმინაცია და ის უკავშირდებოდეს შრომით თვითეფექტურობას. ამის შესამოწმებლად ჩატარდა კვლევა 136 ზრდასრულ ადამიანზე, ონლაინ, Google Forms-ის პლატფორმის გამოყენებით. კითხვარი მოიცავდა დემოგრაფიულ, სტერეოტიპების/დისკრიმინაციისა და შრომითი თვითეფექტურობის ნაწილებს. გამოყენებული იყო ქალების მიმართ დისკრიმინაციის სკალა (Ji-Hye Kim et al., 2019), რომელსაც გაუკეთდა თარგმნა-უკუთარგმნა; დამატებით, კაცების დისკრიმინაციის სკალაც ადაპტირდა და დაემატა საკვლევ ინსტრუმენტს. დანარჩენი ყველა სკალა ადაპტირებული იყო ქართულ ენაზე, რომელთა ალფა კოეფიციენტიც საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა ($\alpha > 0.7$ -ზე).

კვლევის ჰიპოთეზა არ გამართლდა — არ დადგინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი დისკრიმინაციასა და შრომით თვითეფექტურობას შორის, თუმცა აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის დისკრიმინაციის აღქმასთან დაკავშირებით; ქალები მეტად გრძნობენ თავს დისკრიმინირებულად ($t(134) = -5.32, p < .05$). სხვა განსხვავებების არარსებობა შეიძლება რამდენიმე ფაქტორს მივაწეროთ, როგორცაა მცირე ზომის შერჩევა, არათანაბარი ჯგუფები (ძირითადად 30 წლამდე რესპონდენტები; ახალგაზრდებთან მოსალოდნელია სტერეოტიპების და დისკრიმინაციის უფრო დაბალი დონე), ასევე ის, რომ არ იქნა გაანალიზებული ასაკობრივი განსხვავებები.

გარდა ამისა, უთანასწორობა მრავალმხრივ შეიძლება იყოს გამომხატული, თუმცა ამ კვლევაში მხოლოდ ექსპლიციტური სტერეოტიპები და დისკრიმინაცია იყო შესწავლილი; მნიშვნელოვანია ისიც, რომ რესპონდენტები თბილისში მუშაობენ, რომელიც შედარებით მეტად არის მოდერნიზებული გარემო და გენდერული განსხვავებების გამოვლენის ალბათობა დაბალია.

საკვანძო სიტყვები: გენდერი, გენდერული სტერეოტიპები, გენდერული დისკრიმინაცია, შრომითი თვითეფექტურობა

იუმორი ორგანიზაციაში

აბსტრაქტი

იუმორი ორგანიზაციულ გარემოში ფართოდ გავრცელებული, თუმცა რთული საკომუნიკაციო პრაქტიკაა, რომელიც შეიძლება იქცეს როგორც მოლაპარაკების, აგრეთვე კონფლიქტის მართვის მექანიზმად. ნაშრომი ეფუძნება ორგანიზაციული იუმორის მოდელს, იუმორსა და ძალაუფლებაზე ჩატარებულ თანამედროვე კვლევებს, რომელთა მეშვეობითაც იხსნება იუმორის გავლენა ინდივიდუალურ, ჯგუფურ და ორგანიზაციულ დონეებზე. გაანალიზებულია იუმორის სტილები — აფილაციური, თვითგამაძლიერებელი, აგრესიული, მსუბუქად აგრესიული, თვითდამცინავი — და მათი გავლენა ჯგუფური ერთიანობის, კომუნიკაციის, სტრესის, კრეატიულობის, ორგანიზაციული კულტურისა და ლიდერობის ჭრილში.

შედეგების მიხედვით, აფილაციური და თვითგამაძლიერებელი იუმორი ხელს უწყობს სოციალური კავშირების, კრეატიულობის გამტკიცებას და სტრესთან ეფექტურად გამკლავებას, მაშინ როდესაც თვითდამცინავ და აგრესიულ იუმორს კონტექსტზე დამოკიდებული და პოტენციურად ნეგატიური ეფექტი შეიძლება მოჰყვეს, განსაკუთრებით თუ თანამშრომლებს შორის სანდობა კრიტიკულია. ამასთან, გაანალიზებულია კვლევები, რომლებიც ეფუძნება მეიერის (Meyer, 2015) იუმორის ინდივიდუალურ მოდელს და განმარტავს, როგორ რეაგირებენ ადამიანები იუმორის კონტექსტის, ეგო-ჩართულობის და ნორმების დარღვევაზე.

საკვლევი საკითხი იყო: 1) ახდენს თუ არა იუმორი გავლენას სამუშაო დავალების აღქმაზე; 2) როგორ განსაზღვრავენ დასაქმებულები იუმორის მისაღებ ფორმებს სამუშაო გარემოში. ჩატარდა გამოკითხვა 41 დასაქმებულ რესპონდენტზე; მათ უპასუხეს 20 როგორც დახურული, ისე ღია ტიპის კითხვას. მიღებული შედეგების მიხედვით, 22%-მა აღნიშნა, რომ იუმორის მქონე ხელმძღვანელისგან არასასურველი დავალების მიღება გააღიზიანებდათ, რადგან მათთვის საქმის შესრულება მეგობრისთვის დახმარების ტოლფასი იყო, 68.3%-მა აღნიშნა, რომ იუმორის მქონე ხელმძღვანელთან ერთად უფრო იგრძნობდა თავს სამუშაო გარემოში.

ასევე მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ აუცილებელია ორგანიზაციაში თავიდან იქნეს აცილებული სექსუალური და დამამცირებელი იუმორი; იუმორის საუკეთესო ფორმა განისაზღვრება იმის მიხედვით, ვინ ამბობს მას და ვის მიმართავს.

საკვანძო სიტყვები: იუმორი, კონტექსტი, სანდობა.

ნათია გოგსაძე, მარიამ ტყეშელაშვილი

საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმა, ახალგაზრდების ფსიქოთერაპიის მიმართ დამოკიდებულება და დახმარების ძიება

აბსტრაქტი

ფსიქიკური პრობლემების უგულებელყოფამ ადამიანი შესაძლოა ბევრ პრობლემამდე მიიყვანოს. ფსიქოთერაპია არის სწორედ ის დამხმარე რგოლი, რომელიც კონკრეტულ აშლილობასთან დაკავშირებული არასწორი აზრების, ქცევის, აღქმებისა და ემოციების შეცვლაზეა პასუხისმგებელი (ზიმბარდო, 2009).

ფსიქოთერაპიასთან დაკავშირებით საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმიდან გამომდინარე, საინტერესო გახდა პროფესიონალური დახმარების ძიებასთან დაკავშირებული განწყობებისა და ბარიერების კვლევა; ასევე შესწავლილი იყო ამ დახმარების ძიების პროცესში თვითშეფასების მედიატორული როლი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 260 -მა 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდამ. მათგან 70% იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, 30% კი მამრობითი. მონაწილეთა საშუალო ასაკი იყო 20 წელი.

დახმარების ძიების მიმართ დამოკიდებულების გასაზომად გამოყენებული იყო პროფესიონალური ფსიქოლოგიური დახმარების ძიების მიმართ დამოკიდებულებების საზომი სკალა (ATSPPH) (Fischer & Turner, 1970) და ინტერნალიზებული სტიგმის საზომი სკალა (SSOSH) (Vogel, Wade & Haake, 2006); ხოლო თვითშეფასების საკვლევადა გამოყენებული იყო როზენბერგის თვითშეფასების სკალა (Rosenberg, 1965). კვლევის კითხვიდან გამომდინარე ასევე დაემატა დემოგრაფიული კითხვები. მონაცემები შეგროვდა Google Forms-ის დახმარებით და სტატისტიკურად დამუშავდა SPSS-ის მეშვეობით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ თვითშეფასებასა და კვლევაში გამოყენებულ არცერთ სხვა სკალას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ დაფიქსირდა. წრფივი მრავლობითი რეგრესული ანალიზით დავადგინეთ, რომ პროფესიონალური დახმარების ძიებისადმი დამოკიდებულებასთან ყველაზე მეტად კავშირშია ინტერნალიზებული სტიგმა ($\beta = 0.632; p < .001$). კორელაციური ანალიზის ჩატარებისას მივიღეთ შემდეგი შედეგები: დახმარების ძიების ბარიერებსა და სტიგმას შორის ($r(260) = -.445, p < .01$), ასევე დახმარების ძიების დამოკიდებულებებსა და სტიგმას შორის ($r(260) = -.671, p < .01$) უარყოფითი კორელაცია დაფიქსირდა. სტიგმა კი დადებითად კორელირებს დახმარების ძიების ბარიერებთან ($r(260) = .383, p < .01$).

საკვანძო სიტყვები: სტიგმა, ბარიერები, პროფესიონალური დახმარების ძიება, ფსიქოთერაპია

ურთიერთობის ტიპის კავშირი ღირებულებებთან

აბსტრაქტი

ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე, შესაბამისად, ამ ცვლადებს შორის კავშირების ემპირიული შესწავლა აქტუალურია. ეს კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, არსებობს თუ არა კავშირი სხვადასხვა ღირებულებებსა (ინდივიდუალიზმი, კოლექტივიზმი, ჰედონიზმი, კეთილგანწყობა) და კონკრეტული ტიპის ურთიერთობებში (გაცვლითი ან კომუნალური) ჩართვას შორის.

კვლევის ფარგლებში ურთიერთობის ტიპი ასევე დაკავშირებული იყო სხვადასხვა დემოგრაფიულ ფაქტორთან. რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა 132 პირის გამოკითხვის საფუძველზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ (ა) ინდივიდუალიზმი დადებითად არის დაკავშირებული ურთიერთობის გაცვლით ორიენტაციასთან, (ბ) ურთიერთობის კომუნალურ ორიენტაციასთან დადებითად არის დაკავშირებული როგორც კოლექტივიზმი, ისე კეთილგანწყობის ღირებულება, (გ) ჰედონიზმი დაკავშირებულია ურთიერთობის კომუნალურ და არა გაცვლით ორიენტაციასთან, (დ) სქესის მიხედვით განსხვავდება როგორც გაცვლით, ისე კომუნალურ ურთიერთობებში ჩართულობა და (ე) რელიგიური ადამიანები მეტად ერთვებიან გაცვლით ურთიერთობებში, ვიდრე ნაკლებად რელიგიური ადამიანები.

კვლევის შედეგები ავსებს სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებულ მონაცემებს ღირებულებებსა და ინტერპერსონალური ურთიერთობის სტილს შორის კავშირების შესახებ და ქმნის ემპირიულ საფუძველს ქართულ პოპულაციაში ამ კავშირების თავისებურებების გასაგებად.

საკვანძო სიტყვები: გაცვლითი ურთიერთობა, კომუნალური ურთიერთობა, კულტურული ორიენტაცია, ღირებულებები

რეფსიკ აკოფიანი

ენის ბარიერის მქონე სტუდენტების მოტივაციის წყაროები და სწავლის სტრატეგიები

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია გამოიკვლიოს სტუდენტებში ენის ბარიერის გავლენა მათ მოტივაციასა და სწავლის სტრატეგიებზე საგანმანათლებლო და სოციალურ გარემოში. უფრო კონკრეტულად, კვლევის მიზანია გამოიკვლიოს, როგორ აისახება ენობრივი სირთულეები სტუდენტების აკადემიურ ჩართულობაზე, ემოციურ მდგომარეობასა და სასწავლო ქცევებზე.

კვლევაში გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის დიზაინი. მონაცემები შეგროვდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების საშუალებით ოთხ არაქართულენოვან სტუდენტთან, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა კურსზე სწავლობდნენ. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ენის ბარიერი ამცირებს ლექციებში აქტიურ ჩართულობას, ზრდის კომუნიკაციურ შფოთვის და ართულებს აკადემიური ტექსტებისა და დავალებების ინსტრუქციების გაგებას, განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ჩატარებული ლექციების დროს.

სტუდენტების მოტივაციის ძირითად წყაროდ დასახელდა აკადემიური წარმატება და პირადი პროგრესის აღქმა, ხოლო შეცდომის შიში მნიშვნელოვნად მცირდება მხარდამჭერ სასწავლო გარემოში.

საკვანძო სიტყვები: ენის ბარიერი, აკადემიური მოტივაცია, სწავლის სტრატეგიები, უნივერსიტეტის სტუდენტები

მარიამ სულიმანაშვილი, მარიამ მაჭარაძე

მოზარდთა სუბკულტურებსა და დელიკვენტურ ქცევას შორის კავშირი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია სპეციალისტების გამოცდილების საფუძველზე საქართველოში არსებული დელიკვენტური სუბკულტურების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მოზარდების დელიკვენტურ სუბკულტურებთან კავშირის პოტენციური რისკფაქტორების შესწავლა, არაფორმალური დაჯგუფებისა და სუბკულტურის საფუძველზე ჩადენილი დელიკვენტური ქცევის მოტივების შედარებითი ანალიზი.

კვლევის ფარგლებში მოხდა რელიევანტური თეორიული საფუძვლების მიმოხილვა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გამოცდილების თეორიულ ჭრილში განხილვა. მონაცემები შეგროვდა სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს დარგის სპეციალისტებმა, კონკრეტულად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა ხუთმა სოციალურმა მუშაკმა და ერთმა ფსიქოლოგმა.

ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ სუბკულტურებთან კავშირში მყოფ მოზარდთა დელიკვენტურ ქცევას საფუძვლად უდევს კომპლექსური და მრავალფეროვანი ფაქტორები, როგორებიცაა დისფუნქციური ოჯახი, სოციალური კონტექსტი, სუბკულტურის ნორმები, დაუკმაყოფილებელი ფსიქო-სოციალური მოთხოვნილებები.

გამოიკვეთა დღესდღეობით საქართველოში აქტიური სუბკულტურები და მათი ძირითადი მახასიათებლები/მოტივები. სპეციალისტებმა ასევე განიხილეს სუბკულტურასა და არაფორმალური დაჯგუფებების საფუძველზე ჩადენილი დელიკვენტური ქცევების საფუძვლები და მახასიათებლები.

კვლევამ ცხადყო, რომ კონკრეტულ სუბკულტურასთან კავშირი შესაძლებელია გახდეს დელიკვენტური ქცევის განმაპირობებელი მოზარდებში. შესაბამისად, ამ საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის, ისე საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოზარდთა სუბკულტურებსა და დელიკვენტურ ქცევას შორის კავშირის შეფასება ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან; ეს მნიშვნელოვანია პრევენციული და ინტერვენციული სტრატეგიების დაგეგმვისა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების გაუმჯობესებისთვის.

საკვანძო სიტყვები: სუბკულტურა, მოზარდობა, დელიკვენტური ქცევა, დელიკვენტობა, მოზარდთა არაფორმალური დაჯგუფებები

ლიზი სალაყაია

ორგანიზაციული კულტურა, როგორც პროფესიონალიზმის განმსაზღვრელი ფაქტორი

აბსტრაქტი

ორგანიზაციული კულტურა ორგანიზაციის ფუნქციონირების ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. იგი ფართოდ არის აღიარებული, როგორც ძლიერი ძალა, რომელიც აყალიბებს ორგანიზაციულ პროცესებს, თანამშრომელთა ქცევებსა და განსაზღვრავს ორგანიზაციის საერთო ეფექტურობას.

ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ინდივიდუალურ და კოლექტიურ მუშაობას, არის პროფესიონალიზმის ცნება. ეს ნაშრომი წარმოადგენს თეორიულ კვლევას, რომლის მიზანია თანამშრომლების პროფესიონალიზმის კონცეფციის გაანალიზება და იმ ძირითადი ორგანიზაციული ფაქტორების განხილვა, რომლებიც გავლენას ახდენენ მის გამოვლინებაზე.

ნაშრომი ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურისა და კვლევითი სტატიების ანალიზს, რომელთა საფუძველზეც პროფესიონალიზმი განხილულია როგორც დამოკიდებული ცვლადი, ხოლო ორგანიზაციული კულტურა — როგორც ერთ-ერთი ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადი.

განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ორგანიზაციული კულტურის როლს პროფესიონალიზმის ფორმირებაში, მათ შორის იმ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც კულტურა ხელს უწყობს ან ზღუდავს პროფესიული ქცევის გამოვლენას.

ნაშრომის თეორიული ანალიზი ქმნის საფუძველს პროფესიონალიზმისა და მასზე მოქმედი ორგანიზაციული ფაქტორების უფრო ღრმა გაგებისთვის და ხაზს უსვამს აღნიშნული საკითხის პრაქტიკულ მნიშვნელობას ორგანიზაციულ ფსიქოლოგიასა და ადამიანური რესურსების მართვის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული კულტურა; პროფესიონალიზმი; ორგანიზაციული ფაქტორები; პროფესიული ქცევა; ორგანიზაციული პროცესები; ორგანიზაციული ფსიქოლოგია

ელენე გიორგაძე, მარიამ მუნჯიშვილი

ქრონიკული გადაღლის გავლენა სტუდენტთა ცხოვრების ხარისხზე
საქართველოში

აბსტრაქტი

ქრონიკული გადაღლა თანამედროვე საზოგადოებაში აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს; ის უარყოფით გავლენას ახდენს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე, განსაკუთრებით კი სტუდენტებზე. კვლევის მიზანი იყო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში ქრონიკული გადაღლის შესწავლა და მისი კავშირის შეფასება ცხოვრების ხარისხსა და ფსიქოსოციალურ ფაქტორებთან.

გამოკითხვა ჩატარდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 355 სტუდენტზე; კვლევაში გამოყენებული იყო ხელმისაწვდომი შერჩევა. მონაცემები შეგროვდა Google Forms-ის საშუალებით და დამუშავდა SPSS 26-ის გამოყენებით.

შედეგებმა აჩვენა, რომ გადაღლის დონე უფრო მაღალი იყო ქალებში ($M = 3.45$, $SD = 0.93$), ვიდრე კაცებში ($M = 2.81$, $SD = 1.00$), განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო.

მაღალი გადაღლის ძირითად მიზეზებად დასახელდა აკადემიური გადატვირთვა (28%) და სწავლის პარალელურად დასაქმება (24.9%).

საკვანძო სიტყვები: ქრონიკული გადაღლა, ცხოვრების ხარისხი, სტუდენტები, აკადემიური სტრესი

დისოციაციური იდენტობის აშლილობა: კლინიკური და საზოგადოებრივი პერსპექტივა

აბსტრაქტი

დისოციაციური იდენტობის აშლილობა (DID), შესაძლოა, დისოციაციურ აშლილობებს შორის ყველაზე ცნობილი და, ამავდროულად, ყველაზე ნაკლებად შესწავლილი იყოს. ადრე დისოციაციური იდენტობის აშლილობა ცნობილი იყო როგორც პიროვნების მრავლობითი აშლილობა, თუმცა მის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის მაინც ნაკლებად იყო ცნობილი.

დისოციაციური იდენტობის აშლილობის შესახებ ძირითად ინფორმაციას ადამიანები ფილმებიდან ან მედიიდან იღებენ, რაც ხშირად მცდარ წარმოდგენებს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი მტკიცებულება ადასტურებს, რომ ეს აშლილობა ბავშვობის დროინდელ განმეორებით ტრავმულ გამოცდილებასთან არის დაკავშირებული, ხშირად იგი აღიქმება, როგორც ფანტაზიის, სოციალურად მიუღებელი სურვილების ჩახშობის მცდელობის, ბავშვობის ერთჯერადი ზომიერად ტრავმული გამოცდილების ან ზრდასრულ ასაკში მიღებული ტრავმის შედეგი.

ამ თემის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირადი ინტერესის, არამედ მის შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გამო.

მოხსენებაში განხილულია დისოციაციური იდენტობის აშლილობის ძირითადი მახასიათებლები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები DSM-5-ის მიხედვით, რაც ხელს უწყობს მის მკაფიო გამიჯვნას სხვა ფსიქიკური აშლილობებისგან. ყურადღება ეთმობა აშლილობის წარმოშობის მთავარ თეორიებს, განსაკუთრებით ბავშვობის განმეორებითი ტრავმის როლს და დისოციაციას, როგორც ფსიქოლოგიურ თავდაცვით მექანიზმს.

მიმოხილულია DID-ის შესახებ გავრცელებული მითები და მცდარი წარმოდგენები, რომლებიც ხშირად მედიისა და პოპულარული კულტურის გავლენით ყალიბდება. პარალელურად განხილულია თანამედროვე კვლევები და კლინიკური მონაცემები, ისტორიული ცნობილი შემთხვევები, როგორცაა, მაგალითად, უილიამ სტენლი მილიგანი, რაც საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ, თუ როგორ ვლინდება DID რეალურ პრაქტიკაში.

დასასრულს განხილულია დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის სირთულეები, სტიგმის შემცირების მნიშვნელობა, რაც აუცილებელია როგორც პაციენტების, ისე ფართო საზოგადოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: დისოციაციური იდენტობის აშლილობა, დისოციაცია, ტრავმა, ბავშვობის ტრავმა, DSM-5, ფსიქიკური აშლილობები, კლინიკური ფსიქოლოგია, სტიგმა

კონფორმულობა და სოციალური გავლენა სტუდენტებში

აბსტრაქტი

ამ კვლევის მიზანია სტუდენტებში კონფორმულობის ტენდენციის შესწავლა და მისი კავშირის დადგენა სოციალური გავლენის ორ ძირითად ტიპთან — ნორმატიულ და ინფორმაციულ გავლენასთან, ასევე თვითშეფასებასა და დამოუკიდებელი აზროვნების უნართან.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი დიზაინის გამოყენებით; მონაცემები შეგროვდა თვითადმინისტრირებადი ონლაინ კითხვარის საშუალებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 60 ბაკალავრიატის სტუდენტმა, რომელთა ასაკი მერყეობდა 18-25 წლის ფარგლებში.

კვლევაში გამოყენებული იყო კონფორმულობის, ნორმატიული და ინფორმაციული სოციალური გავლენის, როზენბერგის თვითშეფასებისა და დამოუკიდებელი აზროვნების სკალები. მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებული იყო SPSS 26.

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ კონფორმულობა მნიშვნელოვნად დადებითად იყო დაკავშირებული ინფორმაციულ გავლენასთან ($r = .55, p < .01$), თუმცა ნორმატიულ ზეწოლასთან კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა ($r = .18, p > .05$). ასევე გამოვლინდა კონფორმულობის მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი თვითშეფასებასთან ($r = -.43, p < .01$) და დამოუკიდებელ აზროვნებასთან ($r = -.50, p < .01$).

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ სტუდენტურ გარემოში კონფორმულობა უფრო მეტად უკავშირდება ინფორმაციულ გავლენას, ვიდრე სოციალური მოწონების სურვილს. კვლევის შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო გარემოში დამოუკიდებელი აზროვნებისა და თვითშეფასების გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებისთვის.

საკვანძო სიტყვები: კონფორმულობა, სოციალური გავლენა, თვითშეფასება, დამოუკიდებელი აზროვნება, სტუდენტები

თორნიკე ქარჩავა

კიბორგის გონება: თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენა კოგნიციაზე

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გავლენის ანალიზს ადამიანის ყოველდღიურ კოგნიტურ პროცესებზე.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა სისტემური ლიტერატურული მიმოხილვა, რომლის ფარგლებშიც დამუშავდა 1998–2025 წლებში გამოქვეყნებული რეცენზირებადი სამეცნიერო სტატიები, მეტაანალიზები და ნეიროფსიქოლოგიური ექსპერიმენტები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სმარტფონების მუდმივი ხელმისაწვდომობა იწვევს ყურადღების რესურსების შემცირებას, ხოლო ვიდეოთამაშები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ვიზუალურ-სივრცით უნარებსა და კოგნიტურ მოქნილობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც ხელს უწყობს „კოგნიტურ განტვირთვას“ და აზროვნების სტილის ტრანსფორმაციას პროცედურული აზროვნებიდან ინფორმაციის შერჩევასა და შეფასებაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიური პროგრესი არ იწვევს კოგნიტურ დეგრადაციას, არამედ ახდენს ფსიქიკური ძალისხმევის ფუნქციურ რეორგანიზაციას ბიოლოგიურ და ციფრულ სისტემებს შორის.

ნაშრომის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი აყალიბებს თეორიულ ჩარჩოს „გაფართოებული გონების“ კონცეფციის გასაგებად, რასაც მჭიდროდ უკავშირდება ე.წ. „კიბორგის გონების“ ფორმირება; ნაშრომი ასევე ხაზს უსვამს ციფრული ჰიგიენის აუცილებლობას ოპტიმალური კოგნიტური დატვირთვის შესანარჩუნებლად სწრაფად ცვალებად ტექნოლოგიურ გარემოში.

საკვანძო სიტყვები: კოგნიტური განტვირთვა, ხელოვნური ინტელექტი, სმარტფონი, მუშა მეხსიერება

თვითშეფასების კავშირი პროკრასტინაციასთან

აბსტრაქტი

პროკრასტინაცია საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე საზოგადოებაში. სტუდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ისინი ხშირად გადადებენ შესასრულებელ საქმეს. ამ ქცევის მიზეზი ხშირად უკავშირდება წარუმატებლობის შიშს, შფოთვისა და გადაწყვეტილების მიღების სირთულეს.

მნიშვნელოვანია შევისწავლოთ, რა კავშირშია პროკრასტინაცია ადამიანის საკუთარი თავის აღქმასა და კომპეტენტურობის განცდასთან. სწორედ ამ მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომლის ფარგლებში ვიკვლიეთ თვითშეფასებასა და პროკრასტინაციას შორის კავშირი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 121-მა რესპონდენტმა, რომელთა უმრავლესობა (68.6%) სტუდენტი იყო.

მონაცემების ანალიზმა აჩვენა პროკრასტინაციასა და თვითშეფასებას შორის საშუალო ხარისხის უარყოფითი კორელაცია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანებს უფრო მეტად ახასიათებთ პროკრასტინაცია.

მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია პროკრასტინაციის მიზეზების უკეთ გასააზრებლად. შემდგომი კვლევები მიმართული უნდა იყოს თვითშეფასების სხვადასხვა განზომილების კვლევასა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვაზე

საკვანძო სიტყვები: თვითშეფასება, პროკრასტინაცია, თვითეფექტურობა, კომპეტენტურობის განცდა

გუნება-განწყობილების დიფერენცირებული გავლენა სოციალური
კონფორმულობის ნორმატიულ და ინფორმაციულ ტიპებზე

აბსტრაქტი

ადამიანის გუნება-განწყობილების გავლენა ჯგუფთან თანხმობისადმი მიდრეკილებაზე ერთ-ერთი კომპლექსური საკითხია სოციალურ ფსიქოლოგიაში. ამ ექსპერიმენტული კვლევის მთავარი მიზანი იყო გუნება-განწყობილების დიფერენცირებული გავლენის შესწავლა კონფორმულობის ორ ძირითად ტიპზე: ნორმატიულსა და ინფორმაციულ კონფორმულობაზე.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 75-მა სტუდენტმა ($N = 75$). მონაწილეები შემთხვევითობის პრინციპით განაწილდნენ სამ ექსპერიმენტულ ჯგუფში, სადაც განწყობის ინდუქცია განხორციელდა სხვადასხვა ავტობიოგრაფიული მოგონების გახსენების მეთოდით: პოზიტიური, ნეგატიური და ნეიტრალური.

გამოყენებულ იქნა 3 (განწყობილება) \times 2 (კონფორმულობის ტიპი) შერეული ფაქტორული დიზაინი. კონფორმულობის მაჩვენებლები იზომებოდა აშის კლასიკური პარადიგმის მოდიფიკაციით შექმნილი ამოცანებით, რომლებიც მოიცავდა ობიექტურ, აღსაქმელად რთულ ამოცანებსა და სუბიექტურ, ორაზროვანი სტიმულების შეფასებას.

ANOVA ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთქმედების ეფექტი გუნება-განწყობილებასა და კონფორმულობის ტიპს შორის ($p < .01$, $\eta^2 = .68$). კერძოდ, ნეიტრალურ ჯგუფთან შედარებით, ნეგატიურმა განწყობილებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ნორმატიული კონფორმულობა, თუმცა, ამავდროულად, შეამცირა ინფორმაციული კონფორმულობა. პოზიტიური განწყობილება კი ორივე ტიპის კონფორმულობის ზოგად, არადიფერენცირებულ ზრდას დაუკავშირდა.

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ განწყობილება მოქმედებს, როგორც კოგნიტური და მოტივაციური გადამრთველი. ნეგატიური აფექტი აძლიერებს სოციალური მიუღებლობის თავიდან არიდების მოტივაციას, მაგრამ ამავდროულად, ააქტიურებს სისტემურ, ანალიტიკურ კოგნიტურ დამუშავებას. ეს მიგნებები ხაზს უსვამს აფექტური მდგომარეობის კომპლექსურ და კონტექსტზე დამოკიდებულ როლს სოციალური ქცევის რეგულაციაში.

საკვანძო სიტყვები: ნორმატიული კონფორმულობა, ინფორმაციული კონფორმულობა, გუნება-განწყობილება, აფექტი, სოციალური გავლენა

ბიჭიკო მოდებამე

მათემატიკის შიშის დაძლევის სტრატეგიები ეკონომიკური მოდელების სწავლებისას

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა იკვლევს მათემატიკურ შფოთვის იმ სტუდენტებს შორის, რომლებიც არამათემატიკური სპეციალობების ფარგლებში გადიან სავალდებულო მათემატიკის კურსებს. კვლევის მიზანია იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც დაკავშირებულია სტუდენტების მათემატიკურ შფოთვისთან, სწავლის პროცესში ჩართულობასა და საგნისადმი დამოკიდებულებასთან.

კვლევაში გამოყენებული იყო ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტებმა, რომლებიც შეირჩნენ ხელმისაწვდომი შერჩევით. მონაცემები გაანალიზდა თემატური ანალიზის გამოყენებით.

შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტებისთვის განსაკუთრებით მაღალი შფოთვის წყაროა მოთხოვნისა და მიწოდების წრფივი მოდელების აგება, შესაბამისი ფუნქციების გააზრება და მათი გრაფიკული ინტერპრეტაცია. ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ მათ ასევე არასაკმარისად იციან საბაზო მათემატიკურ ცნებები.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემოთავაზებულია პედაგოგიური მიდგომა, რომელიც მოიცავს საბაზო ცნებების ეტაპობრივ გამეორებას, პრაქტიკაზე ორიენტირებული დავალებების მიწოდებას, თანამშრომლობით სწავლებას, პროექტულ მუშაობას და ინდივიდუალურ კონსულტაციებს.

მიღებული შედეგები ხაზს უსვამს მათემატიკური შფოთვის შემცირების მნიშვნელობას უმაღლესი განათლების კონტექსტში. ის ასევე მიუთითებს, რომ მიზნობრივი სწავლების სტრატეგიები ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციის ზრდას, თვითდაჯერებულობის გაძლიერებას და აკადემიურ ჩართულობას. შესაბამისად, კვლევა ქმნის საფუძველს საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებისთვის, რომლებიც ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტზე მორგებულ სწავლებაზე, ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მათემატიკის სწავლების ეფექტიანობის გაზრდაზე უმაღლესი განათლების სხვადასხვა დისციპლინებში.

საკვანძო სიტყვები: მათემატიკური შფოთვა, უმაღლესი განათლება, სწავლების სტრატეგიები, ეკონომიკური მოდელები, სტუდენტები

მარტობასა და რუმინაციას შორის კავშირი — მადლიერების, როგორც დამცავი ფაქტორის როლი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია მარტობას, რუმინაციასა და მადლიერებას შორის კავშირის კვლევა და, ასევე, მადლიერების მოდერატორულ როლის გაანალიზება.

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის დიზაინი და თვითადმინისტრირებადი კითხვარები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 120-მა რესპონდენტმა (მდედრობითი $N = 82$, მამრობითი $N = 38$) ასაკობრივი დიაპაზონით 18-64 წელი.

მონაცემები დამუშავდა კორელაციური და რეგრესიული ანალიზის, ასევე, ერთფაქტორიანი და მოდერაციული ანალიზის გამოყენებით.

შედეგებმა აჩვენა, რომ მარტობასა და რუმინაციას შორის საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაციაა ($r = .52, p < .01$). რეგრესიული ანალიზის მიხედვით, რუმინაცია მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებს მარტობას ($F(1,118) = 44.3, p < .01$). აგრეთვე, ინდივიდები მადლიერების მაღალი დონით ნაკლებად მიდრეკილნი არიან მარტობისკენ, რაც დასტურდება უარყოფითი კორელაციით ($r = -.44, p < .01$). რეგრესიული ანალიზის შედეგების მიხედვით, მადლიერება მნიშვნელოვნად უარყოფითად უკავშირდება მარტობას ($F(1,118) = 28.13, p < .01$).

ადამიანები, რომლებსაც რუმინაციის საშუალო ($M = 2.44, SD = .42$) ან მაღალი მაჩვენებელი ($M = 2.62, SD = .58$) აქვთ, უფრო მძაფრად აღწერენ მარტობის განცდას, ვიდრე დაბალი რუმინაციის მაჩვენებლის მქონენი ($M = 1.98, SD = .45$). თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღმოჩნდა იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც საშუალო ხარისხით და ძლიერად რუმინირებენ.

მადლიერების მოდერატორული როლი არ დაფიქსირდა რუმინაციასა და მარტობას შორის კავშირში ($B = -.01, p = .876$). კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კლინიკური ფსიქოლოგების/ფსიქოთერაპევტების მიერ თერაპიის ფარგლებში ინტერვენციის დაგეგმვის დროს, აგრეთვე, ფსიქოლოგიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: მარტობა, მადლიერება, რუმინაცია

ანა შეწირული, ქეთო ესებუა

სოციალური ჯეტლაგი: სამუშაო და სასწავლო გრაფიკების გავლენა ძილზე, კვებასა და ფიზიკურ აქტივობაზე

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ჯეტლაგის ფენომენის შესახებ ლიტერატურულ მიმოხილვას და მიზნად ისახავს მისი გავლენის ანალიზს ადამიანის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან ქცევებზე, კერძოდ, ძილზე, კვებასა და ფიზიკურ აქტივობაზე.

სოციალური ჯეტლაგი განიხილება როგორც ბიოლოგიურ და სოციალურ დროებს შორის შეუსაბამობის შედეგი, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება არასტაბილური სასწავლო და სამუშაო გრაფიკების პირობებში.

კვლევა ეფუძნება არსებული სამეცნიერო ლიტერატურის სისტემატურ ანალიზს და მოიცავს სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომით ჩატარებულ ემპირიულ კვლევებს, მათ შორის ეროვნული მონიტორინგის მონაცემებს, გრძელვადიან დაკვირვებებსა და ახალგაზრდა მოზრდილებზე ჩატარებულ კვლევებს.

მიმოხილვის შედეგები აჩვენებს, რომ სოციალური ჯეტლაგი დაკავშირებულია ყოველდღიური რუტინის დარღვევასთან, რაც უარყოფითად აისახება ძილის რეგულაციაზე, კვებით ჩვევებსა და ფიზიკური აქტივობის დონეზე. განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფად გამოიკვეთა სტუდენტური პოპულაცია, სადაც აკადემიური მოთხოვნების ზრდა ხშირად უარყოფითად აისახება ბიოლოგიურ რიტმებზე.

დასკვნის სახით, სოციალური ჯეტლაგი განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ბიოფსიქოსოციალური ფაქტორი, რომლის გათვალისწინება აუცილებელია როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე ჯანმრთელობის ხელშემწყობი სტრატეგიების დაგეგმვისას.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ჯეტლაგი, ძილი, კვება, ფიზიკური აქტივობა, სტუდენტები

ხელოვნურ ინტელექტზე ემოციური დამოკიდებულებისკენ მიდრეკილება:
როგორი ტიპის ადამიანები არიან მოწყვლადები?

აბსტრაქტი

21-ე საუკუნის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა ტექნოლოგიური განვითარებაა, თუმცა პროგრესის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, პრიორიტეტად დარჩეს ადამიანების უსაფრთხოება. ადამიანებს ესაჭიროებათ ისეთი თანამოსაუბრის ყოლა, რომელიც მათ აზრებს გაიგებს და დახმარებასაც შეძლებს. ამგვარად, ბევრმა ადამიანმა გამოსავალი „ჩატბოტებთან“ ინტერაქციაში ჰპოვა. ხელოვნური ინტელექტი არის პროგრამის უნარი, მიაღწიოს ადამიანის მსგავს შესაძლებლობებს. AI წარსულში მიღებულ ინფორმაციას, დიალოგებს და უკუკავშირს იყენებს და აუმჯობესებს პასუხებს. შედეგად, უფრო ზუსტ და პერსონალიზებულ ინტერაქციას ქმნის.

ამ მოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ ადამიანებისა და „ჩატბოტების“ ურთიერთობაა, რომელიც ნელ-ნელა სერიოზულ ფორმას იღებს და ბევრ ადამიანს დახმარების ნაცვლად აზიანებს.

კვლევა მიზნად ისახავდა კავშირის დადგენას ადამიანის პიროვნულ მახასიათებლებსა და AI-ის მიმართ ემოციური მოწყვლადობის ჩამოყალიბებას შორის. კვლევის ჰიპოთეზა იყო, რომ ნევროტიზმის მაღალი დონე აძლიერებს ხელოვნური ინტელექტის მიმართ მოწყვლადობას.

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის დიზაინი და თვითადმინისტრირებადი კითხვარი; კვლევაში მონაწილეობა მიიღო 206-მა მონაწილემ, რომლებიც შეირჩნენ ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდით. პიროვნული მახასიათებლის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ხუთფაქტორიანი მოდელი: დიდი ხუთეული. კვლევის ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა პირსონის კორელაციური ანალიზი.

შედეგების მიხედვით, ჰიპოთეზა დადასტურდა — ნევროტიზმსა და AI-ისადმი ემოციურ მიჯაჭვულობას შორის დადებითი კორელაციაა ($r = 0.164$, $p = 0.018$). ექსტრავერსიასთან ($r = -0.040$, $p = 0.573$), ღიაობასა ($r = -0.016$, $p = 0.818$) და შემრიგებლობასთან ($r = -0.036$, $p = 0.611$) არ დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია.

კვლევაში ასევე გაანალიზდა ისეთი ფაქტორებიც, როგორცაა სოციალური იზოლაცია, ემოციური საჭიროებები და AI-ის გამოყენების სიხშირე.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ემოციური მოწყვლადობა, ხუთფაქტორიანი მოდელი, სოციალური იზოლაცია

ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის მიმართება ემოციურ და კოგნიტურ პროცესებთან

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა ბუნებაში გატარებული დროისა და ბუნებასთან კავშირის შესწავლას მენტალური ჯანმრთელობის მაჩვენებლებთან (დეპრესია, შფოთვა, სტრესი), ემოციურ რეგულაციასა და კოგნიციის მოთხოვნილებასთან.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 200 სრულწლოვანმა მონაწილემ, რომლებიც შეირჩნენ ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდით. შერჩევა მოიცავდა ბუნებასთან მიმართებაში განსხვავებული პრეფერენციებისა და გამოცდილების მქონე ინდივიდებს, მათ შორის მათ, ვისაც ჰქონდა ბუნებრივ გარემოში მუშაობის სხვადასხვა გამოცდილება.

საკითხის საკვლევად გამოყენებული იყო შემდეგი თვითაღწერითი ინსტრუმენტები: სტანდარტიზებული თვითშეფასებითი ინსტრუმენტები — Nature Exposure Scale (NES) — ბუნებასთან კონტაქტის შესაფასებლად; Nature Relatedness Scale (NRS) — ბუნებასთან კავშირის გასაზომად; Depression Anxiety Stress Scale (DASS-12) — დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის დონის შესაფასებლად; Emotion Regulation Questionnaire (ERQ) — ემოციური რეგულაციის სტრატეგიების შესაფასებლად; და Short Need for Cognition Scale (NCS-6) — კოგნიციის მოთხოვნილების გასაზომად.

ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებული იყო კორელაციური, დისპერსიული და რეგრესიული ანალიზები.

შედეგებმა აჩვენა, რომ ბუნებასთან კავშირი არის კოგნიციის მოთხოვნილების მნიშვნელოვანი და ძლიერი დადებითი პრედიქტორი, რაც მიუთითებს ბუნებასთან ემოციური კავშირის როლზე კოგნიტური აქტივობისადმი მიდრეკილებაში. თუმცა, ბუნებასთან ფიზიკური კონტაქტის სიხშირეს არ აქვს მნიშვნელოვანი პრედიქტორული გავლენა ამ ცვლადზე. მენტალური ჯანმრთელობის მაჩვენებლები — დეპრესია, შფოთვა, სტრესი — სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ბუნებასთან კავშირის მიხედვით არ გამოვლენილა. ემოციური რეგულაციის მხრივ, ბუნებასთან კავშირი და კონტაქტი სუსტად უარყოფითად იყო დაკავშირებული ემოციების შეზღუდვის სტრატეგიასთან, თუმცა ამ კავშირებიდან მხოლოდ ერთმა აჩვენა სუსტი სტატისტიკური მნიშვნელობა. ასევე, გარე გარემოში მუშაობის გამოცდილება არ აღმოჩნდა დაკავშირებული კოგნიტური გადაფასების უნარებთან. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ბუნებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ფაქტორების პრაქტიკული გამოყენება შესაძლებელია განათლების სისტემაში, ქალაქგეგმარებაში, ფსიქოთერაპიასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.

საკვანძო სიტყვები: ბუნებასთან კონტაქტი, ბუნებასთან კავშირი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, დეპრესია, შფოთვა, სტრესი, ემოციური რეგულაცია, კოგნიციის მოთხოვნილება